თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიებს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით :

1.1. არქიტექტურა (პროფესორი);
1.2. ქალაქთმშენებლობა (პროფესორი);
1.3. არქიტექტურა და დიზაინი (ასისტენტ პროფესორი);
1.4. ელექტრო ინჟინერია - პროფესორი;
1.5. ჩინური ენა - პროფესორი.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. არქიტექტურის მიმართულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლისა და ასევე:

- უცხოურ უნივერსიტეტებში მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- არქიტექტურული აზროვნებისა და არქიტექტურული პროექტირების სტუდიების მიმართულებით ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

2.2. ქალაქთმშენებლობის მიმართულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლისა და ასევე:

- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- შესაბამის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა;
- ქალაქთმშნებლობისა და სამშენებლო კანონმდებლობაზე მუშაობის გამოცდილება;
- ქალაქთმშენებლობის საერთაშორისო მარეგულირებელი გარემოს კარგი ცოდნა;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

2.3. არქიტექტურა და დიზაინის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და ასევე:

- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- მინუმუმ 20 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროში;

- განხორციელებული პროექტები;
- მინიმუმ 5 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

2.4. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ელექტრო ინჟინერიის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის არანაკლებ 15 წლის გამოცდილება; ასევე

- შესაბამის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის და კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება;
- კვლევითი გრანტების განხორციელების გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორცილება ელექტრული წრედების და ელექტრომაგნიტური სისტემები მიმართულებით;
- ინგლისური ენის ცოდნა.;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას;

2.5 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩინური ენის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

2.6. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორცილებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2025 წლის 17 აპრილიდან - 2025 წლის 23 აპრილის ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხორციელდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/242523013207442**

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება ან საჩვენებელი ლექცია საჭიროების შემთხვევაში.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2025 წლის 24 აპრილიდან - 2025 წლის 28 აპრილის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ან საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2025 წლის 29 აპრილიდან - 2025 წლის 5 მაისის ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

9. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge